

ეკა დულაშვილი
საქართველო
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

ბოლქვიძე ნოზელის მოთხრობის „თევზის წერილები“
რუსული და ინგლისური თარგმანები

გოდერძი ნოზელის მოთხრობების ლიტერატურულ- კრიტიკული ანალიზი მისი შემოქმედების თანადროული პროცესია. სამწერლობო ასპარეზზე გამოჩენისთანავე გოდერძი ნოზელის მოთხრობებს თუ ლექსებს გამოუჩნდნენ შემფასებლები როგორც ლიტერატურის კრიტიკოსები(გურამ გვერდწითელი, მათა წიკლაური და სხვ), ასევე ყველაზე მეტად ობიექტური შემფასებლები- მკითხველები. მისი პროზა ერთნაირად საინტერესო და საყვარელი აღმოჩნდა ყველა ასაკის მკითხველისთვის. ამგვარი ხვედრის ცოტა მწერალი თუ ყოფილა. ეს ფაქტი გოდერძი ნოზელის განსაკუთრებულ ნიჭიერებასა და ზოგადად განსკუთრებულობაზე მიუთითებს. მისი მოთხრობების გმირები რეალური ადამიანები არიან, ზოგიერთს(როგორც თავად მწერალი აღნიშნავდა) პროტოტიპიც კი აქვდა, მაგრამ ეს გმირები თავისთავში სიმბოლურ და განზოგადებულ მნიშვნელობას ატარებენ. ყოველი მათგანი ზოგადად მიანური პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობს ან თავად ხდება მარადიული ფასეულობების დაცვისთვის ბრძოლაში შეწირული მსხვრპლი.

„გოდერძი ნოზელის ხალასი, დიდი ნიჭი იშვიათი შემთხვევაა. ხელისგულისოდენა მოთხრობები პირდაპირ მარგალიტებივით ანათებენ. გოდერძი ნოზელისთვის თხრობა აღარავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს . მისი მოთხრობები პირდაპირ უზადოა. ყველაზე მეტად დიდ განცვიფრებას მის მიერ მოტანილი სამყარო- ცხოველების, ბუნების, ადამიანების სულის მისეული ხედვა იწვევს. მშვენიერი ლექსივით იკითხება მისი ყოველი მოთხრობა“ - ასე ახასიათებს გოდერძი ნოზელის პროზას გურამ გვერდწითელი. (ლიტერატურული ნარკვევები, პორტრეტები, პოლემიკა / [რედ.: მილიცა ჯაფარიძე ; თბ. : მერანი, 2005).

ფიქრობთ ამ დახასიათებაში ამომწურავად არის ჩამოთვლილი

გოდერძი ჩოხელის მოთხოვნების ღირსებანი.

ლიტერატურის კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ გოდერძი ჩოხელის მოთხოვნებში ფილოსოფიურ სიღრმეს, ადამიანის, როგორც ღვთის შემოქმედების გვირგვინის, დანიშნულების ძიებას და სხვ. სწორედ ამგვარი სიღრმის გამო მისი შემოქმედების კვლევა განსაკუთრებით საინტერესოა.

ჩვენ შევჩერდებით ერთ მოთხოვნაზე „თევზის წერილებზე“. ამ მოთხოვნის ცენტრალური ფიგურა ადამიანია, უფრო სწორად ადამიანის ადამიანობა, შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნის ქვეტექსტად კითხვაა დასმული: ადამიანი ყოველთვის ამართლებს თავის ადამიანობას, ანუ იმას, რომ მას ღვთისგან მინიჭებული აქვს უკუდავი სული? აღნიშნულ მოთხოვნაში ეს კითხვა რიტორიკულად ეღერს.

მოთხოვნის გმირი გამიხარდაი ერთი უბრალო „აღალი, ბეჩაეი“ (როგორც ავტორი ამბობს) კაცია, დღესა და ღამეს მუშაობაში ატარებს და ძლივს არჩენს ოჯახს. ამგვარი მძიმე შრომით ძლივს მოაგროვებ და შეკრა ოცდაათი თივის ზენი, აქედან ოცდახუთი „ბრიგადირმა“ უსამართლოდ წაართვა. გამიხარდაი გაოგნებულია უსამართლო სასჯელით, და გონდაკარგული გადაწყვეტს ცოლ-შვილის თანდასწრებით დარჩენილ ხუთ თივის ზენის. ამ მომენტიდან იწყება მისი პროტესტი, მას აღარ სურს ადამიად ყოფნა!! გამიხარდაი მიაშურებს მდინარე არაგვს და იქ გადაწყვეტს ცხოვრებას, გამიხარდაი ადამიანი აღარ არის, გადაწყვეტს, რომ თევზი გახდეს. და მხოლოდ წერილებით ესაუბრება ერთადერთ ადამიანს - ავტორს, ანუ თავად გოდერძი ჩოხელს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მთელი მოთხოვნა მწერლის გასაუბრებაა საკუთარ თავთან.

მოთხოვნის ფაბულა საკმაოდ საინტერესოა და ორიგინალური. მისი არსი გადმოცემულია გამიხარდაისა და ავტორის (ვისაც ლუკა ჰქვია) მიმოწერაში.

გოდერძი ჩოხელის მოთხოვნების უცხოენოვანი თარგმანების საჭიროება უდავოდ არსებობს, მარტივი მიზეზის გამო, იგი იმ მწერალთა რიგს განეკუთვნება, ვისი შემოქმედებაც ქართველ მკითხველთან ერთად საინტერესო იქნება უცხოელთათვისაც. ის მხოლოდ ეროვნული მწერალი არ არის, ის თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზეეროვნულია.

კოდერძი ჩოხელის მოთხრობების რუსულ ენაზე თარგმანა თითქმის მათი შექმნის თანადროულად დაიწყო. ამ დროსვე ითარგმანა „თევზის წერილები“, (მთარგმნელი ა. აბუაშვილი. გამოც. 1983წ.) რაც შეეხება ინგლისურ თარგმანს, იგი ჯერ არ გამოცემულა ბეჭდური სახით და მე ხელთ მქონდა თარგმანის ხელნაწერი. მთარგმნელია ელისო წიკლაური.

ჩემთვის საინტერესო იყო შემედარებინა ეს ორი თარგმანი მოთხრობის ორიგინალთან და სოციერო თავისებურებაზე შემესერებინა ყურადღება.

პირველ ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ ორივე მთარგმნელი ქართველია, აქედან გამომდინარე ორიგინალის ტექსტის ყველა ენობრივი თუ აზრობრივი ნიუანსი მათთვის გასაგებია და უდავოდ ნაცადია თარგმანში მათი ადეკვატური ასახვა, რამდენადაც ამის საშუალება იძლევა თარგმანის ენა. საილუსტრაციოდ მოვიყვანო რამდენიმე ნიმუშს: მაგ; „დედიშობილა“ „в чем мать родила“ ზუსტი თარგმანია, ინგლისურად არის „he had taken his clothes“, (გაიხადა ტანსაცმელი), საგზლიანი გუდა „сумку с едой“ „bag with the food“, ხელმარტო კაცი ვარ – რუსულში გამოტოვებულია, „I am only man in my family“ – სოტყვასიტყვითი ტარგმანია. აქვე აღსანიშნავია მთავარი გმირის სახელი „გამიხარდაი“ რაც რუსულში თარგმნილია „гамихарда“, ხოლო ინგლისურად ქართულის ანალოგიით „Gamikhardai“, რაც ჩვენი აზრით უფრო სწორია.

არის შემთხვევა, როცა ქართულ ტექსტში ერთი სიტყვით არის აზრი გამოსატული მაგ., „შემეცოდა,“ რუსულში კი უფრო გამძაფრებულია შინაარსი „сердце дрогнуло от жалости“, ინგლისურში კი ზუსტი თარგმანი გვაქვს „I was sorry for him“.

საინტერესო თარგმანია შემდეგი ფრაზის: „ როგორ შეგიძლია მთლად დაივიწყო შენი წარსული? Как ты можешь бесповоротно забыть свое прошлое? How can you completed your past?

აღნიშნული მაგალითები ცხადყოფს, რომ ორივე მთარგმნელი ცდილობს ქართული ენისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გამოთქმები შეძლებისდაგვრად ადეკვატურად ასახოს თარგმანში.

„თევზის წერილები“ ისევე როგორც გოდერძი ნოხელის, სხვა მოთხრობები, აღსაყვამა ეროვნული ხატოვანებით. პეისაჟების აღწერით, კუთხური მეტყველების ფორმებით. ეს ყოველივე ქართული ეროვნული ლიტერატურის სპეციფიკური ნიშანია. მასში გამოიხატება ეროვნული ხატოვანი აზროვნება, რაშიც იგულისხმება მხატვრული საშუალებები და მათი საშუალებით შექმნილი რთული ხატების ერთობა, რაც მხოლოდ ცალკეული მწერლისთვის, ამ შემთხვევაში გოდერძი ნოხელის მოთხრობისთვის არის დამახასიათებელი.

„თევზის წერილებში“ ამ ხატოვანებას ქმნის ეკოგეოგრაფიული არეალი, პეისაჟი: მდინარე არაგვი, რომელიც მოთხრობის დასაწყისში მშვიდია, ბოლოს კი აღიდებული, მღვრიე. ეს ხატი, რა თქმა უნდა მოთხრობის განწყობილების შესაკმნელი ფონია. მღვრიე და აღიდებული არაგვი, მისი, „ღორღიანი ჭალა, ნიაღვრისგან დამხრჩვალნი თევზები“ მოთხრობის სუედიანი უინაღის მანიშნებელია, მოძმეთაგან განწირული გამიხარდაის ბედის აღეგორიაა.

მთარგმენლისთავის ასეთი ხატოვანების გადმოღება თარგმანში აუცილებელია, თან იმგეარად, რომ დედნის განწყობა და ექსოცია ზუსტად იყოს შენარჩუნებული.

ენახოთ როგორ არის ეს ასახული მოთხრობის წეენს მიერ განსახილველ თარგმანებში:

„არაგვის ღორღიანი ჭალა, ჭალაზე კუპრით მღვრიე არაგვი... არაგვის ნაპირზე თითო ოროლა კაცი დგას... ერთიმეორისთვის ხმის გაცემა რცხვენოდათ. იმათ შორის ნიაღვრისგან დამხრჩვალნი თევზები ეყარა აქა-იქ.“

“The rocky tank of the Aragvi and the Aragvi pitch black.. one or two men standing here... ashamed to talk to each other... here and there some dead fish were...”

„Илистая пойма реки .Черная как смоль вода Арагви , куча растеренных людей на берегу. Люди стояли понуриив головой и совестно им было взглянуть друг другу в глаза. Там и тут вода раскидала ро берегу тельца дохлых рыб.“

ჩანს, რომ ორივე მთარგმნელი სუსტად გადმოსცემს დედნის ხატოვან სურათს.

ზემოთ შევნიშეთ, რომ მოთხრობის თემა არის ადამიანის უკვდავი სულის მნიშვნელობის გააზრება, ადამიანის ადამიანად ყოფნის პრობლემა. ეს რომ ასეა, მოთხრობის დასაწყისშივე ჩანს.

„სულს არც დასაწყისი აქვს არც დასასრული“.

„He начал иет у души, ни конца“.

„The soul has neither the beginning nor the end“.

ეს საკითხი გასდევს მოელს მოთხრობას ლაიტმოტივად. კვანძი იხსნება იმ წერილში, სადაც ღუკა, ანუ გოდერძი ჩოხელი საუბრობს ადამიანის უკვდავ სულზე. საჭიროდ ვოვლით სრულად მოვიყვანოთ ტექტიდან ეს ადგილი:

„ადამიანში მდგარი სული თევზის სული ვერ იქნება, სხეული მატერიაა, მატერიას ფორმა აქვს, ფორმა ღროს ემორჩილება. სულმა შეიძლება სხვადასხვა სხეული გამთიაროს, ოღონდ ამ სხეულებმა, წესისმიხედვით, ამ სულში თავიანთი გარკვეული ფორმა უნდა დაასრულონ. მერე შეიძლება კაცის სული თევზს ჩაუსახლდეს, მაგრამ არა მგონია. ასეც რომ იყოს, ის მაინც აღარ იქნება ის აღრინდელი სული, მას ყველაფერი დავიწყებული ექნება, სრული დავიწყება კი დასასრულია. ეს კი იმას ნიშნავს (თუ მართლ ასეა), რომ სული სხეულთან ერთად დაასრულებს თავის არსებობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სული აგრძელებს თავის არსებობას, ოღონდ იმას უნდა ახსოვდეს, და თუ ახსოვს ადამიანის სულს, მაშინ ის ისევე ადამიანის სულად რჩება და მატერიის გარეშე აგრძელებს ადამიანობას.

... შენ სულს ყოველთვის ემახსოვრება მარტოობის ტკბილი სევდა

შენ სულს ყოველთვის ემახსოვრება ადამიანური ცოდვა-მადლი
შენ სულს ყოველთვის ემახსოვრება ღმერთი, რომელიც შენ გწამდა და თუ არ გწამდა, მაინც გყავდა არსებაში.“

მოვივანო ამ მონაკვეთის რუსულ და ინგლისურ თარგმანებს:

The soul of the man cannot be the soul of a fish. The body is a matter, the matter has a form is ruled by time. The soul may pass through various lives, but lives, according to the rule, must accomplish their definece in this soul. Afterwards a man's soul might settle in the fish, though I don't think so.. Even

if it were so, it could' not be that primary soul, it will have forgotten all, and to forget everything means the end. (If it really so) that the soul together with the soul will stop its existence. Otherwise, the soul continues its existence, only it must remember, and if the human's soul remembers, then it remains to be a human being's soul. And continues being a human without matter.

Возможно у души нет ни начало не конца но ясно одно что душа пока она обитает в теле человеческом не может стать душой рыбы. Душа способна вселиться в разные тела. Тело материально, материя обладает формой, форма подвластно времени. И пока форма не разрушена временем, душа не покидает своего обиталища. Потом человеческая душа возможно и вселится в рыбу, но наврядли. Тогда она уже не будет прежней души, все прежнее будет забыто. А полное забвение – ведь это конец. Выходит, что душа вместе с телом завершает свое бытие. Но допустим, что душа продолжает свое существование. В таком случае она должна хранить память, а если человеческая душа хранит память, это то значит, что она по-прежнему остается человеческой душой и длит вне материи человеческую жизнь.

ცხადია, რომ ამ მონაკვეთში საკმაოდ ვრცელი და თეოლოგიური შინაარსით დატვირთული აზრებია გადმოცემული. ერთი წაკითხვით მკითხველს მაშინვე პლატონისეული „სულთა გადანაცვლების“ თეორია გაახსენდება, მაგრამ თუ ჩავეუღრმავდებით ტექსტის შინაარსს, ნათელად დაეინახავთ, რომ აქ სწორედ ქრისტიანული სწავლების მიხედვით არის საუბარი ადამიანის უკვდავ სულზე. გოდერძი ჩოხელი მარტივად და იმავდროულად პოეტურად გადმოსცემს დეონისაგან ადამიანისათვის მონიჭებული სულის უკვდავების შესახებ. ადამიანის სულს ახსოვს ყველაფერი და მატერიის გარეშეც აგრძელებს არსებობას.

აღსანიშნავია, რომ ორივე მთარგმნელი ადეკვატურად გადმოსცემს დედნის შინაარსს და არა არის დარღვეული ორიგინალის თეოლოგიური არსი. მხოლოდ ერთ სიტყვაზე გავამახვილებთ ყურადღებას: გოდერძი ჩოხელი წერს: სულმა შეიძლება სხვადასხვა სხეული გამოიაროს.

რუსულში გვაქვს: Душа способна вселиться в разные тела.
ინგლისურში: The soul may pass through various lives.

რუსულ თარგმანში ჩვენი აზრით მცირედი უზუსტობა გვაქვს. Вселиться (ჩასახლდება), დედნში კი „გაველაა“ ნათქვამი, ჯობდა

ყოფილიყო სხვა უფრო ზუსტი შესატყვისი მაგ.: пройти через разные тела. ამ კონტექსტში აღნიშნულ სიტყვას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ინგლისური თარგმანი კი აბსოლუტურად ზუსტია may pass.

ცხადია მოყვანილი მონაკვეთი ქრისტიანული მოძღვრების ერთერთ უმთავრეს საკითხის რემინიციენციაა; შევადართო იოანეს სახარების მუხლს სადაც საუბარია სულზე. „სულს სადაც უნებს იქ დაბერავს“ და შემდეგ უფრო გაღრმავებულია და გაერცობილია მსჯელობა:

Your soul will always remember the sweet sadness of the lonlines
Your soul will always remember human sins and human enevolence
Your soul will always remember God you believed and if you didn't believe in Him, still He was in you.

Душа твоя сохранил и сладостную речаль одиночество
Душа твоя не забудет добро и благо рук человеческих.

ჩანს, რომ რუსული თარგმანი დედნის ერთნაირ ფრაზას „შენ სულს ყოველთვის ემახსოვრება“ არ იმეორებს, თავისებურად თარგმნის ,თუმცა ვფიქრობთ რომ დედნის შინაარსს ადეკვატურად გადმოსცემს.

ინგლისური კი აბსოლუტური სიზუსტით გამოხატავს დედანს:
Your soul will always remember.

ჩვენი აზრით აქ სიტყვას სულს ემახსოვრება- „სულის მახსოვრობას“ განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა რუსულშიც გადმათგმნილიყო Душа твоя будет помнить.

თარგმანებში შესადარებლად კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ჩვენ შევარჩიეთ რამდენიმე ნიმუში.

თარგმანის თეორეტიკოსებს შორის არ არის სრული თანხმობა მიღწეული თარგმანის შეფასების კრიტერიუმებში, მაგრამ მაინც შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ოპტიმალური კრიტერიუმი, რომლებსაც აღიარებს თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა უმრავლესობა. ეს კრიტერიუმებია: 1) თარგმანი, რაც შეიძლება ზუსტად უნდა გადმოსცემდეს არა მარტო დედნის შინაარსს, არამედ მხატვრულ მხარესაც; 2) თარგმანს უნდა ეტყობოდეს ეპოქის კვალი;

3) თარგმანში უნდა მოხდეს უცხო და მშობლიური კულტურების სინთეზი; 4) თარგმანი უნდა ითვალისწინებდეს თავის მკითხველს, მაგრამ ამაღლებდეს და უფართოვებდეს თვალსაწიერს. მოარგმენმა უნდა იკისროს კულტუროლოგის როლი(ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები. - თბ. : თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1999) თარგმანის მხოლოდ უარყოფილად და დადებითად შეყვასება არ შეიძლება.

ჩვენს მიერ განხილული თარგმანები ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს ზოგადად აკმაყოფილებს.

გოდერძი ჩოხელის მოთხრობების თარგმნა ძნელია. მისი მხატვრული სამყარო მრავალფეროვანია, ხოლო თარგმანი კულტურათა იმგვარი დიალოგია, რომელიც არა მარტო კულტურათა ურთობას გულისხმობს, არამედ, როგორც გოეთე ამბობდა, ენებს შორის პაექრობასაც. ამიტომ მთარგმნელი ემსახურება არა მხოლოდ თავის ერს არამედ იმ ერსაც, რომლის ენაზეც თარგმნის. (თარგმანი : კულტურათა დიალოგი / [რედ.: ლალი კერესელიძე] ; საქ. ბაირონის საზ-ბა. თბ., 2005))ყოველივე აქედან გამომდინარე „თეზის წერილები“ რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი თარგმანები, მიუხედავად ზოგიერთი უზუსტობებისა, რაზეც ვისაუბრეთ ადეკვატურად გასაგები უნდა იყოს ორივე ენოვანი მკითხველისთვის.

„გოდერძი ჩოხელი არის პიროვნება, რომელიც მთელი გულწრფელობით უხსნის თავის შინაგან სამყაროს ადამიანებს და საოცარი უბრალოებით აფიქრებს მათ ღრმა ფილოსოფიურ საკითხებზე.

გოდერძი ჩოხელი ჩვენი დროის მოვლენაა – ამბობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე .

შეუძლებელია არ დაეთანხმო ამ სიტყვებს. ის, რაზეც გოდერძი ჩოხელი წერს, ყველა ერის ადამიანისთვის გასაგებია, ამას ადასტურებს ჩვენს მიერ განხილული მოთხრობის თარგმანები.